

თჰუ
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი №13

თბილისი

06 ოქტომბერი 2011 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, სრული პროფ. ნინო ორმოცაძე, სრული პროფ. მარია კუბლაშვილი.

სტუდენტები: მეგი ბირკაძე, ანტონ სისოევი.

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, აფილა ალახვერდიევას (პასპორტი №P4409921) თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის საკითხი.
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის, შაიგ ბაირამოვის (პასპორტი №P3730443) თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის საკითხი.

მოისმინეს:

პირველ საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აფილა ალახვერდიევა არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, მან 2010 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ი. ჰუსეინოვის სახელობის ქ. გოიგოლის №1 საშუალო სკოლა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 სექტემბრის №673 ბრძანების საფუძველზე მან მოიპოვა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე აფილა ალახვერდიევა ჩაირიცხება თჰუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად;

მეორე საკითხთან დაკავშირებით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შაიგ ბაირამოვ არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, მან 2006 წელს დაამთავრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ განჯის მ.მ. მეხტიზადეს სახელობის №4 საშუალო სკოლა. საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 სექტემბრის №673 ბრძანების საფუძველზე მან მოიპოვა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე შაიგ ბაირამოვ ჩაირიცხება თჰუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად.

აზრი გამოთქვს:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ.მ. კუბლაშვილმა.

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. აფილა ალახვერდიევას მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
2. შაიგ ბაირამოვს მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე, დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი.საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

გ. გრიგორიანი